

კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების სამართლებრივი
სპეციფიკა ინგლისურ სახელშეკრულებო სამართალში

ხატია კირვალიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კერძო
(ბიზნეს) ფაკულტეტზე აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თორნიკე რევიშვილი, სამართლის მაგისტრი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

აბსტრაქტი

ნებისმიერ ვალდებულებითსამართლებრივ, თუ სახელშეკრულებო სამართლებრივ ურთიერთობაში, მასში მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან ჯეროვნად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი კი უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება მისი კეთილსინდისიერად შესრულებაც, რაც გულისხმობს კონტრაქტის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინებასა და მის დაცვას.

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი შესრულების პროცესშიც. მხარეთა შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერებას და ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ საფუძვლით იღებს პრაქტიკისთვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას.

მართალია, კეთილსინდისიერების პრინციპი ევროპის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე აღიარებულ პრინციპად იქცა და შესაბამისად მნიშვნელოვანი აღიარება მოიპოვა ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში, მაგრამ ინგლისურ სამართალში ეს ასე არ არის. მასზე მნიშვნელოვანია ნამდვილი უფლების არსებობა და არა მისი ეთიკური მხარე. სწორედ, ეს ფაქტი განასხვავებს ინგლისურ სამართალს როგორც ქართული, ისე გერმანული, ფრანგული და სხვა კონტინენტური ევროპის ქვეყნების კანონმდებლობისაგან.

ინგლისური სამართალი პირდაპირ არ აღიარებს კეთილსინდისიერების პრინციპს, მაგრამ არსებობს რამოდენიმე წესი, რომელიც სწორედ ამ პრინციპს ემსახურება და თითქმის მისი იდენტურია. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის მოსამართლეების უმრავლესობას საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვთ კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინების გარეშე, არსებობენ

მოსამართლეები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად მაინც ამ პრინციპის მომხრენი არიან და გადაწყვეტილების გამოტანისას აუცილებლად ითვალისწინებენ ხელშემკვრელი მხარეების დამოკიდებულებას ერთმანეთის ინტერესების მიმართ.

Abstract

In any liability or jurisdiction in the contractual legal relationship, the contracting parties are obliged to fulfill their obligations. The covenant of good faith is a general presumption that the parties to a contract will deal with each other honestly, fairly, and in good faith, which also means taking into account the interests of the counterparty.

Obeying the principals of good faith is important not only for making a contract but also for fulfilling it. Honesty and fair dealing of the contracting parties is taken into consideration by the Court and decisions are often based in these principles.

Good faith has become one of the most recognized principles of the European Union's treaty law, and has therefore gained significant recognition in the practice of European countries. Unlike many European countries, in English law it is more important to have a real right, not its ethical side. This fact distinguishes English law from Georgian, German, French and other continental European laws.

English law does not directly admit the good faith, but there are a number of rules that serve this principle and are almost identical. Despite the fact that most of the English judges make a decision on the case without considering the principle of good faith, there are judges who are directly or indirectly supporting this principle and take into consideration the attitude of the contracting parties towards the interests of each other.